



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის

(საქსტატი)

2018 წლის საქმიანობის ანგარიში

შინაარსი

თავი I. კანონმდებლობა - - - - - 3

თავი II. ორგანიზაციული სტრუქტურა და საშტატო განრიგი -- 8

თავი III. 2018 წლის ბიუჯეტი - - - - - -11

თავი IV. 2018 წელს განხორციელებული ცვლილებები - - - - - 18

თავი V. საერთაშორისო თანამშრომლობა - - - - - 30

თავი VI. 2019 წლის გეგმები - - - - - -34

## თავი I. კანონმდებლობა

სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სტატისტიკის წარმოებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების მიზნით შექმნილ დაწესებულებას, რომელიც თავის პროფესიულ საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად.

სამსახური შექმნილია და საქმიანობას წარმართავს “ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” 2009 წლის 11 დეკემბრის საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე, 2013 წლის 31 დეკემბერს საქართველოს მთავრობის №406 დადგენილებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების” შესაბამისად. სამსახური თავის საქმიანობაში ასევე ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, “საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, ასევე სხვა ნორმატიული და კანონქვემდებარე აქტებით.

საქსტატი წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკური სისტემის მაკოორდინირებელ დაწესებულებას. კანონის თანახმად, ის უზრუნველყოფს ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელ ორგანოებთან კოორდინირებულ მუშაობას, გასცემს რეკომენდაციებს სტატისტიკის წარმოებისთვის საჭირო სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის შესახებ, ახორციელებს სტატისტიკის წარმოების მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებული ინფორმაციის გაცვლის კოორდინაციას და ხელს უწყობს დამტკიცებული სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის დანერგვას.

“ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, საქსტატის აღმასრულებელ დირექტორს ევალება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის შემუშავება და საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა. სტატისტიკური სამუშაოების პროგრამა მოიცავს წლის განმავლობაში შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალს და შემსრულებლებს, დაკვირვების პერიოდულობისა და გამოქვეყნების თარიღის მითითებით. სტატისტიკური სამუშაოების 2018 წლის პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 დეკემბრის №2550 განკარგულებით.

საქართველოში ოფიციალური სტატისტიკის წარმოება ეფუძნება გაეროს ოფიციალური სტატისტიკის წარმოების ფუნდამენტურ პრინციპებს:

**ა) მნიშვნელოვნობა, ობიექტურობა, საყოველთაო ხელმისაწვდომობა** – ოფიციალური სტატისტიკა არის დემოკრატიული საზოგადოების საინფორმაციო სისტემის აუცილებელი ელემენტი, რომელიც ხელისუფლების ორგანოებს, ეკონომიკის სუბიექტებსა და საზოგადოებას ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემებით უზრუნველყოფს. ამ მიზნით და მოქალაქეთა მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლები მიუკერძოებლად ამზადებენ და ავრცელებენ პრაქტიკული ღირებულების მქონე სტატისტიკურ მონაცემებს;

**ბ) პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკის დაცვა** – ოფიციალური სტატისტიკისადმი ნდობის შესანარჩუნებლად ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლებმა სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და წარდგენის მეთოდებთან და პროცედურებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ მხოლოდ პროფესიული მოსაზრებების შესაბამისად, მეცნიერული პრინციპებისა და პროფესიული ეთიკის გათვალისწინებით;

**გ) ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა** – სტატისტიკური მონაცემების სწორი ინტერპრეტაციის ხელშეწყობისათვის, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლებმა ინფორმაცია უნდა წარადგინონ სტატისტიკურ წყაროებთან, მეთოდებთან და პროცედურებთან დაკავშირებული მეცნიერული სტანდარტების შესაბამისად;

**დ) სტატისტიკური მონაცემების მცდარი გამოყენების თავიდან აცილება** – სტატისტიკური მონაცემების მცდარი ინტერპრეტაციის ან არასწორად გამოყენების შემთხვევაში ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლებს აქვთ მათი განმარტების უფლება;

**ე) სტატისტიკური წყაროს არსებობა** – სტატისტიკური მიზნებისათვის მონაცემები შეიძლება შეგროვდეს ყველა სახის წყაროდან – სტატისტიკური გამოკვლევებიდან ან/და ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებული ინფორმაციიდან. სტატის-

ტიკის მწარმოებელმა სტატისტიკური წყარო უნდა შეარჩიოს ხარისხის, დროულობის, დანახარჯებისა და რესპონდენტის დატვირთვის გათვალისწინებით;

**ვ) კონფიდენციალურობა** – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ სტატისტიკური მიზნებისათვის შეგროვებული, ფიზიკური და იურიდიული პირების დამახასიათებელი მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია და გამოიყენება მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის;

**ზ) საკანონმდებლო ბაზის საჯაროობა** – კანონმდებლობა, ნორმები და ზომები, რომელთა ფარგლებშიც ფუნქციონირებს ოფიციალური სტატისტიკის სისტემა, საჯაროა;

**თ) ეროვნული კოორდინაცია** – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლებს შორის კოორდინაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის მდგრადობისა და ეფექტიანობის მისაღწევად;

**ი) საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება** – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ საერთაშორისო ცნებების, კლასიფიკაციებისა და მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს ოფიციალური სტატისტიკის სისტემების შეთანხმებულობასა და ეფექტიანობას;

**კ) საერთაშორისო თანამშრომლობა** – ოფიციალური სტატისტიკის სფეროში ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა ხელს უწყობს ოფიციალური სტატისტიკის სისტემების გაუმჯობესებას.“

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამის საფუძველზე, საქსტატი უფლებამოსილია ადმინისტრაციული ორგანოებისაგან და სხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მოითხოვოს და მიიღოს თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ყველა სტატისტიკური და სხვა ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური).


„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 177<sup>12</sup> მუხლზე დაყრდნობით, ინფორმაციის წარუდგენლობისთვის მეწარმე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართ 2018 წლის განმავლობაში შედგენილი იქნა 92 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და წარედგინა სასამართლოს განსჯადობის მიხედვით. მათგან 67 ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრ-

ციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 177<sup>12</sup> მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს სამართალდამრღვევი მეწარმე სუბიექტის გაფრთხილებას და ერთი თვის ვადაში ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას. 25 ოქმი შედგენილია ამავე მუხლის მე-2 ნაწილზე დაყრდნობით, რომელიც სანქციის სახით ითვალისწინებს ჯარიმას, 200 ლარის ოდენობით. 25 სამართალდარღვევის ოქმიდან ორ შემთხვევაში სასამართლოს მიერ შეწყვეტილი იქნა საქმის წარმოება, მხარის მიერ ინფორმაციის წარმოდგენის გამო, ხოლო ოთხი პროცესი დღემდე მიმდინარეობს.

საქსტატი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ სანქციებზე ორიენტირებულ ორგანიზაციას და ყოველთვის ცდილობს რესპონდენტებთან მუდმივი კონტაქტისა და თანამშრომლობის, მათთვის ინფორმაციის წარდგენაში დახმარებისა და პროცესის გამარტივების გზით, უზრუნველყოს ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნორმატიულ დონეზე სანქციების დაწესებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გამოუპასუხებელ საწარმოთა რაოდენობისა და შესაბამისად, გამოუპასუხებლობის მაჩვენებლის (გამოუპასუხებელი საწარმოების პროცენტული წილი გამოსაკითხ საწარმოთა მთლიან რაოდენობაში) შემცირების თვალსაზრისით.

ქვემოთ, ნახაზზე წარმოდგენილია გამოუპასუხებლობის მაჩვენებლის დინამიკა 2014-2018 წლებში ძირითადი (საწარმოთა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების) გამოკვლევების მიხედვით:



## საქსტატის საბჭო და საქსტატის მრჩეველთა საბჭო

“ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონი ითვალისწინებს საქსტატის საბჭოსა და საკონსულტაციო ორგანოს - მრჩეველთა საბჭოს არსებობას.

### საქსტატის საბჭო

საქსტატის საბჭო შედგება შვიდი წევრისა და საბჭოს თავმჯდომარისაგან. საბჭოს სამი წევრი - საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები არიან. მათ კანდიდატურებს საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენენ შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელები. საბჭოს დანარჩენი ხუთი წევრი არ არის საჯარო მოსამსახურე. მათ თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის თანხმობით, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

საბჭოს საქმიანობის წესი და პირობები განსაზღვრულია საქსტატის საბჭოს 2013 წლის 26 დეკემბრის №17 დადგენილებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს დებულებით”.

საქსტატის საბჭოს ფუნქციებს მიეკუთვნება:

1. საქსტატისათვის სტატისტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;
2. სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
3. საქსტატის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;
4. სტატისტიკური საქმიანობისას გამოსაყენებელი სტატისტიკური სტანდარტების, კლასიფიკაციებისა და მეთოდოლოგიის განხილვა, რეკომენდაციების მომზადება და დამტკიცება ან საერთაშორისო სტანდარტების, კლასიფიკაციებისა და მეთოდოლოგიის აღიარება;
5. მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროგრამასთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

6. საქსტატის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის განხილვა და დამტკიცება;

7. საქსტატის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

8. საბჭოს დებულების შემუშავება და დამტკიცება, რომლითაც უნდა განისაზღვროს საბჭოს მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები;

9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

10. „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ კანონითა და საბჭოს დებულებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა.

### **საქსტატის მრჩეველთა საბჭო**

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონი ასევე ითვალისწინებს საქსტატის საკონსულტაციო ორგანოს - საქსტატის მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირებას, რომლის წევრებსაც (არანაკლებ 8) საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილების ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აღმასრულებელი დირექტორი, ხოლო წევრობის კანდიდატების შერჩევა ხორციელდება სტატისტიკის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ეკონომიკის, მათემატიკის ან მომიჯნავე დარგის სპეციალისტთა (პრაქტიკული ან მეცნიერული საქმიანობის გამოცდილების მქონე) შორის. დღეის მდგომარეობით მოქმედი მრჩეველთა საბჭო შედგება 12 წევრისაგან.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად მრჩეველთა საბჭოს ფუნქციებს მიეკუთვნება:

1. საქსტატისათვის სტატისტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული კონსულტაციის გაწევა და კომპეტენციის ფარგლებში რეკომენდაციების წარდგენა;

2. სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის პროექტის ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება;

3. სტატისტიკურ საქმიანობაში გამოსაყენებელი სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის ანალიზი და საქსტატის საბჭოსათვის წინადადებების მომზადება;



4. სტატისტიკური მეთოდების განხილვა, სტატისტიკური მეთოდოლოგიის სრულყოფასთან დაკავშირებით საქსტატის საბჭოსთვის კონსულტაციის გაწევა ან/და წინადადებების წარდგენა;

5. საქსტატის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდასთან დაკავშირებით წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;

6. სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით რეკომენდაციების მომზადება;

7. სტატისტიკის დარგის განვითარებასთან დაკავშირებით წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;

8. რესპონდენტებთან კომუნიკაციის მექანიზმებისა და მეთოდების შესახებ წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა;

9. გამოუპასუხებლობის შემცირების ღონისძიებების შესახებ წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა.

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებებს აქვთ სარეკომენდაციო ხასიათი.

## თავი II. ორგანიზაციული სტრუქტურა და საშტატო განრიგი

### საქსტატის საშტატო განრიგი

2018 წელს საქსტატში განხორციელდა სტრუქტურული რეორგანიზაცია, რომლის მიზანს წარმოადგენდა მმართველობითი რგოლის შემცირება და პროცესების ეფექტიანად წარმართვა, ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებისა და ადამიანური რესურსების ოპტიმალურად გადანაწილების გზით. ამავე დროს, ერთ-ერთ პრიორიტეტად განისაზღვრა საქსტატის დარგობრივი მიმართულებების გაძლიერება და რეგიონული სტატისტიკის განვითარება, რაც მნიშვნელოვანია მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

რეორგანიზაციის შედეგად განხორციელდა შემდეგი სახის ცვლილებები:

1. აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის პოზიცია შემცირდა სამიდან ორ ერთეულამდე;

2. შეიცვალა სტრუქტურული ერთეულების სახელწოდებები (ცენტრალურ აპარატში: სამმართველოს ნაცვლად შეიქმნა დეპარტამენტი, განყოფილების ნაცვლად - სამმართველო; ტერიტორიულ ორგანოებში: სამმართველოს ნაცვლად - ბიურო) და ამაღლდა მათი სტატუსი;

3. ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების, კადრების ოპტიმიზაციის, ასევე მოქნილი და ეფექტური მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით გაერთიანდა აღმასრულებელი დირექტორის აპარატი და ადმინისტრაციული სამმართველო, რომლის საფუძველზეც შეიქმნა სტრატეგიული დაგეგმვის, კოორდინაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი. ამასთან, გაერთიანდა ზემოთ აღნიშნულ სამმართველოებში შემავალი რამდენიმე სტრუქტურული ერთეული, კერძოდ: ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება და საქმისწარმოების განყოფილება; საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილება; გარდა ამისა, დამხმარე ფუნქციის მქონე 6 თანამშრომელი (მძღოლები, თანაშემწეები) გადაყვანილია შტატგარეშედ.

საერთო ჯამში, სტრუქტურული ცვლილებების შედეგად ადმინისტრაციული პერსონალი შემცირდა 48-დან 40 ერთეულამდე. აღნიშნულის ხარჯზე 2 ერთეულით გაიზარდა ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტში დასაქმებულთა რიცხოვნობა.

4. ზემოთ აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად განისაზღვრა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, მოვალეობები და სახელწოდებები, კერძოდ: ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტში მონაცემთა დამუშავების განყოფილება ჩამოყალიბდა მოკლევადიანი სტატისტიკის სამმართველოს სახით; სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის დეპარტამენტში მონაცემთა ანალიზის და გავრცელების განყოფილები-სა და სტატისტიკური კვლევების განყოფილების ნაცვლად ჩამოყალიბდა სოფლის მე-ურნეობის სტატისტიკის სამმართველო და გარემოს სტატისტიკის სამმართველო; სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტში შინამეურნეობათა გამოკვლევების განყო-ფილება ჩამოყალიბდა ცხოვრების დონის სტატისტიკის სამმართველოს სახით; მოსახ-ლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის დეპარტამენტში გაუქმდა ერთადერთი განყოფილება (შედეგად გაუქმდა მხოლოდ განყოფილების უფროსის ვაკანტური პოზიცია).

5. რეორგანიზაციის შედეგად განხორციელდა ადრე გაერთიანებული რამდენიმე რეგიონული ოფისის გამოცალკევება, რისი საჭიროებაც გამომდინარეობდა იქედან, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში სტატისტიკურ ინფორმაციაზე მოთხოვნის ზრდის პარალელურად, იზრდებოდა სტატისტიკური გამოკვლევებისა და შესაბამი-სად გამოსაკითხი რესპონდენტების რაოდენობა, რაც ართულებდა მენეჯმენტის პრო-ცესებს გაერთიანებული რეგიონული ოფისების პირობებში და გარკვეული რისკის ქვეშ აყენებდა პირველადი სტატისტიკური მონაცემების ხარისხს.

საქსტატის ტერიტორიული ერთეულები ჩამოყალიბდა საქართველოს რეგიონუ-ლი მოწყობის მიხედვით. შედეგად, ტერიტორიული ორგანოების რაოდენობა რვა ერთეულიდან გაიზარდა თერთმეტ ერთეულამდე (ფოთის სამმართველოს ნაცვლად, რომელიც ადრე ორ რეგიონს აერთიანებდა, ჩამოყალიბდა სამეგრელო-ზემო სვანეთის სტატისტიკის ბიურო და გურიის სტატისტიკის ბიურო; გორის სამმართველოს ნაცვლად ჩამოყალიბდა შიდა ქართლის სტატისტიკის ბიურო და მცხეთა-მთიანეთის სტატისტიკის ბიურო; ქუთაისის სამმართველოს ნაცვლად ჩამოყალიბდა იმერეთის სტატისტიკის ბიურო და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სტატისტიკის ბიურო-ები);

6. ტურიზმის სფეროს სტატისტიკა სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტიდან გადავიდა ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში. ამასთან, აღნიშნულ სამმართველოს დაემატა გარკვეული ფუნქციები.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 აგვისტოს #388 დადგენილებით განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები საქსტატის დებულებაში, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 20 სექტემბრიდან. საქსტატის საბჭოს 2018 წლის 2 აგვისტოს #11 დადგენილებით დამტკიცდა საქსტატის ახალი საშტატო განრიგი, რომლის თანახმადც საქსტატის ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების საშტატო ნუსხა განისაზღვრა 214 საშტატო ერთეულით (163 საშტატო ერთეული ცენტრალურ აპარატში და 51 საშტატო ერთეული ტერიტორიულ ორგანოებში), ნაცვლად მანამდე არსებული 221 საშტატო ერთეულისა.

ამჟამად, აღმასრულებელ დირექტორს ჰყავს ორი მოადგილე. საქსტატის სტრუქტურაში შედის 10 დეპარტამენტი (ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტი, საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის დეპარტამენტი, ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტი, ფასების სტატისტიკის დეპარტამენტი, სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტი, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სტატისტიკის დეპარტამენტი, მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის დეპარტამენტი, სტრატეგიული დაგეგმვის, კოორდინაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი, შიდა აუდიტის დეპარტამენტი, ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი) და 11 ტერიტორიული ორგანო – თბილისის სტატისტიკის ბიურო, აჭარის სტატისტიკის ბიურო, გურიის სტატისტიკის ბიურო, სამეგრელო ზემო-სვანეთის სტატისტიკის ბიურო, იმერეთის სტატისტიკის ბიურო, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო-სვანეთის სტატისტიკის ბიურო, სამცხე-ჯავახეთის სტატისტიკის ბიურო, შიდა ქართლის სტატისტიკის ბიურო, ქვემო ქართლის სტატისტიკის ბიურო, მცხეთა-მთიანეთის სტატისტიკის ბიურო და კახეთის სტატისტიკის ბიურო (იხილეთ დანართი 1).

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული საშტატო განრიგი წარმოდგენილია დანართი 2-ის სახით. საშუალო ხელფასი 2018 წელს შეადგენდა 1495 ლარს.

რეორგანიზაციის პროცესი დასრულდა 2018 წლის 20 სექტემბერს.

## **შტატგარეშე თანამშრომლები**

ოფიციალური სტატისტიკის წარმოების თავისებურებებიდან და სტატისტიკური გამოკვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საქსტატში დასაქმებულია შტატგარეშე თანამშრომელთა საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ახორციელებს სხვადასხვა სახის სტატისტიკური გამოკვლევების მონაცემთა შეგროვებას და დამუშავებას (საველე სამუშაოებს).

სტატისტიკური გამოკვლევების განხორციელებისა და სხვა პარალელური ფუნქციების განხორციელების მიზნით, 2018 წლის განმავლობაში დაქირავებულ შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობა იცვლებოდა კვარტალების მიხედვით, ჩატარებული გამოკვლევებიდან გამომდინარე. შესაბამისად, წლის განმავლობაში მათი მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრა 720 ერთეულით.

აღნიშნული რაოდენობის შტატგარეშე თანამშრომელთა აყვანა განხორციელდა მთავრობის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე.

## **კადრების შერჩევა**

2018 წელს საქსტატში ადგილი ჰქონდა როგორც კადრების გადინებას, ისე მიღებას. საშტატო განრიგით გათვალისწინებულ პოზიციებზე კანდიდატების შერჩევა ხორციელდებოდა ღია კონკურსის საფუძველზე. წლის განმავლობაში საქსტატში გამოცხადებული იყო კონკურსი 39 საშტატო ვაკანტურ პოზიციაზე. ვაკანტურ თანამდებობებზე განაცხადი შემოიტანა სულ 1840 კანდიდატმა. კონკურსის ბოლო ეტაპზე (გასაუბრებაზე) მოწვეული იყო 204 კანდიდატი, კონკურსის შედეგად თანამდებობაზე დაინიშნა 35 კანდიდატი, ხოლო 4 ვაკანსიაზე კონკურსი გამოცხადდა ჩაშლილად, რადგან ვერ მოხერხდა შესაბამისი კვალიფიკაციის კანდიდატის შერჩევა.

### თავი III. საქსტატის 2018 წლის ბიუჯეტი

საქსტატის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს: სახელმწიფო ბიუჯეტი, გრანტები და შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან.

“საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენდა 8 500 000 ლარს, გრანტების გეგმა - 1 154 053 ლარს, ხოლო ეკონომიკური საქმიანობის ბიუჯეტის ხარჯების გეგმა - 187 787 ლარს.

2018 წლის საქსტატის შემოსავლების გეგმამ სულ შეადგინა 9 841 840 ლარი.

2018 წლის საქსტატის საკასო ხარჯების მოცულობა განისაზღვრა 9 426 920 ლარით, მათ შორის: საბიუჯეტო სახსრები – 8 220 876 ლარი, გრანტები – 1 107 780 ლარი, საკუთარი სახსრების საკასო ხარჯი - 98 265 ლარი.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯები შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

• **შრომის ანაზღაურება** – 3 816 412 ლარი, (მ.შ. თანამდებობრივი სარგო - 3 476 172 ლარი, პრემია - 340 240 ლარი);

• **საქონელი და მომსახურება** – 5 361 014 ლარი, მათ შორის:

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 4 259 488 ლარი;

მივლინება – 108 131 ლარი;

ოფისის ხარჯი – 367 867 ლარი;

წარმომადგენლობითი ხარჯი – 13 226 ლარი;

სამედიცინო ხარჯი - 400 ლარი;

რბილი ინვენტარის შეძენის ხარჯი - 425 ლარი;

ტრანსპორტის ექსპლუატაცია – 246 983 ლარი;

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 364 494 ლარი;

• **სოციალური უზრუნველყოფა** - 135 969 ლარი;

• **სხვა ხარჯები** - 37 950 ლარი;

• **გრანტი** - 9 969 ლარი;

• **არაფინანსური აქტივების ზრდა** - 65 608 ლარი;

საანგარიშო წლის განმავლობაში, “2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონისა და “საბიუჯეტო კოდექსის” შესაბამისად განხორციელდა დასაშვები ცვლილებები (გადანაწილება) საქსტატის ასიგნებებში.

ზემოთ აღნიშნულის შედეგად, საქსტატის 2018 წლის დაზუსტებული გეგმა-ხარჯი დაფინანსების წყაროების მიხედვით ჩამოყალიბდა ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილის სახით:

#### **1. საქსტატის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულება - საბიუჯეტო ასიგნებები (ლარი)**

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2018 წლის დამტკიცებული გეგმა	ცვლილება	2018 წლის დაზუსტებული გეგმა	2018 წლის საკასო შესრულება	სხვაობა (5-6)	შესრულების % (6/5*100)
1	2	3	4	5	6	7	8
47 00	სსიპ-საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)	8,500,000.0	0.0	8,500,000.0	8,228,877.7	279,124.3	97%
	მომუშავეთა რიცხოვნობა	221.0		214.0	214.0		
	ხარჯები	8,460,000.0	0.0	8,460,000.0	8,182,548.9	277,451.1	97%
	შრომის ანაზღაურება	4,100,000.0	-257,000.0	3,843,000.0	3,816,412.3	26,587.7	99%
	საქონელი და მომსახურება	4,280,000.0	17,000.0	4,458,000.0	4,217,443.8	240,556.2	95%
	სოციალური უზრუნველყოფა	60,000.0	79,000.0	139,000.0	135,968.5	3,031.5	98%
	სხვა ხარჯები	20,000.0	0.0	20,000.0	12,724.3	7,275.7	64%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	40,000.0	0.0	40,000.0	38,326.8	1,673.2	96%
47 01	სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა	5,000,000.0	40,000.0	5,040,000.0	4,835,971.5	204,028.5	96%
	მომუშავეთა რიცხოვნობა	221.0		214.0	214.0		
	ხარჯები	4,960,000.0	40,000.0	5,000,000.0	4,797,644.7	202,355.3	96%
	შრომის ანაზღაურება	4,100,000.0	-257,000.0	3,843,000.0	3,816,412.3	26,587.7	99%
	საქონელი და მომსახურება	790,000.0	220,000.0	1,010,000.0	843,344.3	166,655.8	83%
	სოციალური უზრუნველყოფა	50,000.0	77,000.0	127,000.0	125,163.8	1,836.2	99%
	სხვა ხარჯები	20,000.0	0.0	20,000.0	12,724.3	7,275.7	64%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	40,000.0	0.0	40,000.0	38,326.8	1,673.2	96%
47 02	სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა	3,500,000.0	-40,000.0	3,460,000.0	3,384,904.2	75,095.8	98%
	ხარჯები	3,500,000.0	-40,000.0	3,460,000.0	3,349,904.2	75,095.8	98%
	საქონელი და მომსახურება	3,490,000.0	-42,000.0	3,448,000.0	3,374,099.5	73,900.5	98%
	სოციალური უზრუნველყოფა	10,000.0	2,000.0	12,000.0	10,804.7	1,195.3	90%



## **1.1 სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (საბიუჯეტო ასიგნებები) 4701**

სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვისა და მართვის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 5 000 000 ლარს, დაზუსტებული - 5 040 000 ლარს, შესრულებამ შეადგინა - 4 835 972 ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 96%-ია.

**ეკონომიამ შეადგინა - 204 029 ლარი**, რაც ძირითადად განაპირობა სახელმწიფო შესყიდვების ტენდერების შედეგად მიღწეული ფასების კლებამ და ვაკანსიების გამო, შესაბამისი შრომის ანაზღაურების მუხლის აუთვისებლობამ.

**საანგარიშო პერიოდში** განხორციელდა სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისი სტატისტიკური გამოკვლევების სამუშაოების დაგეგმვა, მართვა, წარმოება და მონაცემთა გავრცელება; მეთოდოლოგიური და სტატისტიკური სტანდარტების შემუშავება; დასახული ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად საჭირო საკადრო, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსებით უზრუნველყოფა.

## **1.2 სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (საბიუჯეტო ასიგნებები) 4702**

სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 3 500 000 ლარს, დაზუსტებული - 3 460 000 ლარს. შესრულებამ შეადგინა 3 384 904 ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 98%-ს შეადგენს.

**ეკონომიამ შეადგინა - 75 096 ლარი**, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ გამოკვლევების მიმდინარეობისას რესპონდენტთა გარკვეული ნაწილი (განსაკუთრებით შინამეურნეობათა შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევაში, ასევე სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევაში) უარს აცხადებდა გამოკვლევაში მონაწილეობაზე. შესაბამისად, აღნიშნული გარემოების გამო ვერ ხდებოდა გარკვეული მოცულობის თანხების ათვისება, რადგანაც ინტერვიუერთა შრომის ანაზღაურება დამოკიდებულია ერთეულ გამოპასუხებულ ინტერვიუზე.

**აღნიშნული პროგრამის** ფარგლებში განხორციელდა სტატისტიკური სამუშაოების 2018 წლის პროგრამით გათვალისწინებული სტატისტიკური გამოკვლევების

მომზადება, ჩატარება, მონაცემთა მოზიდვა, დამუშავება და შესაბამის მონაცემთა გამოქვეყნება.

## **2. საქსტატის მიერ 2018 წელს მიღებული გრანტები, მიზნობრივი დაფინანსება და ტექნიკური დახმარება**

საქსტატის მიერ 2018 წლის განმავლობაში დონორ ორგანიზაციებთან გაფორმდა ორი საგრანტო ხელშეკრულება, ხოლო ერთი საგრანტო ხელშეკრულება მოქმედებდა 2015 წლიდან.

გრანტებისა და მიზნობრივი დაფინანსების სახით, ფულადი ფორმით 2018 წელს მიღებულია 1 133 215 ლარი, ხოლო 20 838 ლარი წარმოადგენს დონორის მიერ 2016 წელს ავანსად ჩარიცხულ თანხას. საქსტატის მიერ ფულადი ფორმით მიღებული მიზნობრივი დაფინანსების ხარჯები შეადგენს 1 107 780 ლარს. მათ შორის დონორისთვის დაბრუნებული აუთვისებელი თანხის ნაშთია 9 969 ლარი.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯები შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

- **საქონელი და მომსახურება** – 1 070 531 ლარი,

მათ შორის:

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 676 087 ლარი;

ოფისის ხარჯი – 17 685 ლარი;

წარმომადგენლობითი ხარჯი – 3 266 ლარი;

ტრანსპორტის ექსპლუატაცია – 132 667 ლარი;

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 192 808 ლარი;

- **გრანტები** - 9 969 ლარი.
- **არაფინანსური აქტივების ზრდა** - 27 281 ლარი.

გრანტები გამოყოფილი იყო შემდეგი მიზნებისთვის:

**აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ გამოყოფილი გრანტის მიზანი** იყო გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვება აქტივების ფლობასა და მენარმეობაზე.

**საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლობის (UN Women) მიერ გამოყოფილი გრანტის მიზანს** წარმოადგენდა გენდერული სტატისტიკის გაუმ-

ჯობესება, სტატისტიკის გამოყენების არეალის გაფართოება და მონაცემებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება (სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელთა ტრენინგები, ახალი ვებგვერდის შექმნა, გენდერული სტატისტიკის პორტალის შექმნა, სტატისტიკური პუბლიკაციის გამოცემა).

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშთა ფონდის წარმომადგენლობის (UNICEF) მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში განხორციელდა მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევა (MICS-6), რომლის ფარგლებშიც მიღებული იქნება სხვადასხვა სახის მაჩვენებელი, საქართველოში ბავშვებისა და ქალების მდგომარეობის შესახებ.**

გარდა ამისა, გრანტებისა და მიზნობრივი დაფინანსების სახით, 2018 წლის განმავლობაში, ნატურალური ფორმით მიღებულია 180 998 ლარის ღირებულების ტექნიკა და აღჭურვილობა, მათ შორის: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშთა ფონდის წარმომადგენლობის (UNICEF) მიერ გადმოცემულია 92 558 ლარის ღირებულების 93 ერთეული პლანშეტური ლეპტოპი და 68 733 ლარის ღირებულების სხვადასხვა სახარჯი მასალა, გამოკვლევის განსახორციელებლად; შვედეთის სტატისტიკის ბიუროს მიერ - 17 500 ლარის ღირებულების ერთი ერთეული ავტომატისა და 2 207 ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის საოფისე ინვენტარი (იხილეთ ცხრილი).

**საქსტატში 2018 წელს მოქმედი საგრანტო ხელშეკრულებების რეესტრი**

ფულადი სახით მიღებული					
N	გრანტის გამცემი	გრანტის/მიზნობრივი პროგრამის დასახელება	საგრანტო ხელშეკრულების ვადა	საგრანტო ხელშეკრულების ღირებულება	2018 წლის ხარჯთაღრიცხვა (ლარი)
1	Asian Development Bank – ADB	"სტატისტიკური პოტენციალის განვითარება სოციალური ჩართულობისა და გენდერული თანასწორობისთვის"	27.07.2015-31.03.2018	120 000 აშშ დოლარი	0.00
2	გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლობა საქართველოში (UN Women)	პროექტზე „შევუერთდეთ ბრძოლას ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“	13.06.2018-31.12.2018	74,430.00 ლარი	74 430.00
3	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშთა ფონდის წარმომადგენლობა (UNICEF)	„მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა (MICS)“	18.05.2018-31.03.2019	1,364,680.00 ლარი	1 058 785.00

ნატურალური სახით მიღებული					
N	გრანტის გამცემი	გრანტის/მიზნობრივი პროგრამის დასახელება	საგრანტო ხელშეკრულების ვადა	საგრანტო ხელშეკრულების ღირებულება	2018 წლის ხარჯთაღრიცხვა (ლარი)
1	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშთა ფონდის წარმომადგენლობა (UNICEF)	„მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა (MICS)“	18.05.2018-31.03.2019	161 291 ლარი	161 291 (93 ცალი პლანშეტი და სახარჯი მასალები)
2	შვედეთის სტატისტიკის ბიურო	საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა და შვედეთის სტატისტიკის ბიუროს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის პროექტი	09.06.2011-30.06.2018	17500 ლარი	17500.00 (ერთი ერთეული ავტომანქანა)
3	შვედეთის სტატისტიკის ბიურო	საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა და შვედეთის სტატისტიკის ბიუროს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის პროექტი	09.06.2011-30.06.2018	2207 ლარი	2207.00 (საოფისე ინვენტარი)

### 3. საქსტატის მიერ 2018 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ხარჯები

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქსტატს უფლება აქვს მიიღოს შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელებიდან.

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გარდამავალი ნაშთი შეადგენდა 16 017 ლარს.

2018 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა საკასო შემოსავლებმა შეადგინა 161 480 ლარი, მათ შორის:

ა) 89 955 ლარი მიღებულია სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამის ფარგლებს გარეთ სტატისტიკური მონაცემების გავრცელების საფასურის სახით (ფასიანი ინფორმაცია).

2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე საქსტატში შემოსულია 2465 ოფიციალური მოთხოვნა სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდების შესახებ. აქედან 590 წერილის საფუძველზე გაწეულ იქნა ფასიანი მომსახურება, 1527 წერილის საფუძველზე გაიცა უფასო ინფორმაცია, 343 წერილი გაუქმდა განმცხადებ-

ლის მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო 5 წერილით გათვალისწინებული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რადგანაც მოთხოვნილი იყო კონფიდენციალური მონაცემები.

2018 წლის განმავლობაში ფასიანი ინფორმაციების მიწოდებიდან შემოსული თანხა (89 955 ლარი) დარგობრივი დეპარტამენტების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- ბიზნეს სტატისტიკა - 45114 ლარი (მიღებული თანხის 50.15%)
- საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა - 41693 ლარი (46.35%)
- ფასების სტატისტიკა - 2418 ლარი, 2.69%
- სოციალური სტატისტიკა - 498 ლარი, 0.55%
- ეროვნული ანგარიშების სტატისტიკა - 118 ლარი, 0.13%
- სოფლის მეურნეობის სტატისტიკა - 115 ლარი, 0.13%

ბ) 71 525 ლარი მიღებულია სხვადასხვა დამკვეთისთვის ჩატარებული სტატისტიკური გამოკვლევებისთვის გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში. 2018 წლის განმავლობაში სულ გაფორმდა მსგავსი ტიპის სამი ხელშეკრულება:

N	პროექტის დამკვეთი	პროექტის დასახელება	ხელშეკრულების ვადა	ხელშეკრულების ღირებულება (ლარი)	2018 წელს მიღებული დაფინანსება (ლარი)
1	გაეროს ქალთა ორგანიზაცია UN-women	ერთად დავძლიოთ ქალთა მიმართ ძალადობა	01.03.2017-31.03.2018	312 415.80	13 895.96
2	გაეროს გაეროს ბავშვთა ფონდი-UNICEF	ბავშვებთან დაკავშირებული მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორების დისაგრეგაცია ასაკისა და სქესის მიხედვით	13.04.2018-02.07.2018	12 155	12155.00
3	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა გამოკვლევა	14.08.2018-15.10.2018	46 787	45474.25

2018 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან საქსტატის მიერ გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 98 265 ლარი. ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯები შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

•**საქონელი და მომსახურება – 73 039 ლარი,**

მათ შორის:

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 66 380 ლარი;

ოფისის ხარჯი – 4 610 ლარი;

წარმომადგენლობითი ხარჯი – 997 ლარი;

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 1 053 ლარი;

•**სხვა ხარჯები (გადასახადები) – 25 225 ლარი.**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენს 78 633 ლარს.

## თავი IV. 2018 წელს განხორციელებული ცვლილებები

2018 წელს საქსტატში განხორციელებული ცვლილებებისა და დანერგილი სიახლეების წარმოდგენა შესაძლებელია რამდენიმე ძირითად მიმართულებად:

1. მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება და ხარისხის აუდიტი;
2. სტატისტიკის არეალის გაფართოება;
3. სტატისტიკის გამოყენების გაუმჯობესება;
4. ახალი პროდუქტების შექმნა და ახალი სერვისების ამოქმედება.

### 1. მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება და ხარისხის აუდიტი

მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია არსებული მეთოდოლოგიის რევიზია და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, პირველად მონაცემთა ხარისხის მუდმივი მონიტორინგი, მონაცემთა შეგროვების უფრო ეფექტური, თანამედროვე სისტემების დანერგვა და ადმინისტრაციული მონაცემების მაქსიმალურად გამოყენება.

ამ მიმართულებით საქსტატმა 2018 წლის სექტემბერში სტატისტიკის სისტემის გლობალური შეფასების მისიას უმასპინძლა (დეტალურად იხილეთ საერთაშორისო თანამშრომლობის ნაწილში), რომლის მიზანს წარმოადგენდა:

- ა) ქვეყანაში არსებული ოფიციალური სტატისტიკის სისტემის შესაბამისობის შეფასება ევროპულ სტანდარტებთან;
- ბ) ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისა და გავრცელების ტექნიკური და ორგანიზაციული პოტენციალის შეფასება;
- გ) ევროპის სტატისტიკურ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება;
- დ) სტატისტიკის სფეროში ქვეყნის ადმინისტრაციული პოტენციალის შეფასება;
- ე) საქსტატის შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდაციების მომზადება;
- ვ) საქსტატის საქმიანობის ხელშეწყობა და ქვეყანაში საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა.

საბოლოო სტატისტიკური პროდუქტების (სტატისტიკური მაჩვენებლების) მაღალი ხარისხის უზრუნველყოფად, აუცილებელია პირველად მონაცემთა ხარისხის მუდმივი შეფასება. ამ მხრივ, საქსტატის შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ სტა-

ტისტიკური გამოკვლევების უმრავლესობისთვის წლის განმავლობაში მუდმივად ხორციელდებოდა სავსელე სამუშაოების მონიტორინგი.

მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ასევე ადმინისტრაციული მონაცემების მაქსიმალურად გამოყენება და ალტერნატიული წყაროების ძიება. ამასთან, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, მონაცემთა მაღალი ხარისხი მიიღწევა გამოკვლევის შედეგების კომბინირებით ადმინისტრაციულ მონაცემებთან. ამ მიმართულებით საქსტატმა წლის განმავლობაში ქმედითი ნაბიჯები გადადგა ბიზნეს სტატისტიკაში, კერძოდ ახალი ადმინისტრაციული წყაროების გამოყენებით დაიწყო ყოველთვიური ენერგეტიკისა და მოკლევადიანი ბიზნეს სტატისტიკის მაჩვენებლების წარმოება.

სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხზე არსებით გავლენას ახდენს ასევე მონაცემთა შეგროვების თანამედროვე სისტემების არსებობა. ამ მიმართულებით საქსტატმა განახორციელა ბიზნეს სტატისტიკის მონაცემთა შეგროვების სისტემების (ონლაინ გამოკვლევის კითხვარები) დახვეწა. პლანშეტური კომპიუტერების გამოყენება დაწყებულია სოფლის მეურნეობის, ტურიზმის და ფასების სტატისტიკურ გამოკვლევებში.

**ხარისხის მართვის თვალსაზრისით 2018 წელს ასევე შესრულდა შემდეგი სამუშაოები:**

- ევროკავშირის შესაბამისი სტანდარტის – ESMS (Euro-SDMX Metadata Structure) საფუძველზე შემუშავებული და დამტკიცებული მეტამონაცემების/ხარისხის ანგარიშების ერთიანი სტანდარტის საფუძველზე მომზადდა მეტამონაცემები სტატისტიკური პროცესების დიდი ნაწილისთვის. მომზადებული მეტამონაცემები, რომლებიც შეიცავს ხარისხის ანგარიშების ყველა ელემენტს, განთავსდება საქსტატის ვებგვერდზე;

- 2018 წელს ჩატარდა ხარისხის პილოტური აუდიტი. ამ მიზნით შვედეთის სტატისტიკის სამსახურთან თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში შემუშავდა აუდიტის კითხვარი, რომლის საფუძველზეც საქსტატის შიდა აუდიტის დეპარტამენტის მონაწილეობით ჩატარდა ტურიზმის სტატისტიკის სამმართველოს მიერ ორგანიზებული "ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის გამოკვლევის" პილოტური აუდიტი. ამასთან, შემუშავდა აუდიტის სამუშაო პროცესების აღწერილობა, რომელიც გამოყენებული იქნება მომავალში ხარისხის შიდა აუდიტის ჩატარებისას.



- 2018 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველყოფისთვის აუცილებელ დოკუმენტებზე. მომზადდა მითითებები, რომელთა მიზანია ბიზნეს სტატისტიკისა და სოციალური სტატისტიკის მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველყოფა.

## **2. სტატისტიკის არეალის გაფართოება**

სტატისტიკის არეალის გაფართოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ახალი გამოკვლევების ორგანიზება და განხორციელება, ასევე ახალი ინდიკატორების წარმოება, როგორცაა ყოველთვიური და მოკლევადიანი სტატისტიკა. ამ მიმართულებით საქსტატის მიერ წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები: ყოველთვიური ენერჯეტიკის სტატისტიკის მაჩვენებლების, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ფასების შესახებ მონაცემების წარმოება, რომელიც მთლიანად ეფუძნება ადმინისტრაციულ წყაროებს.

ზემოთ აღნიშნულ მიზნებს ემსახურება აგრეთვე რეგიონული სტატისტიკის განვითარება და არსებული ინდიკატორების დეტალიზება რეგიონების, მუნიციპალიტეტების, სქესის და ქალაქი-სოფლის ჭრილში. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია შერჩევის მოცულობის გაზრდა შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების, ასევე სამუშაო ძალის გამოკვლევაში, რომლის შედეგადაც 2019 წელს შესაძლებელი გახდება შესაბამისი სფეროების ძირითადი მაჩვენებლების დახასიათება რეგიონულ ჭრილში.

მნიშვნელოვანია ასევე დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბების შემცირება, რაც შესაძლებელია სპეციალური სტატისტიკური გამოკვლევების განხორციელებისა და ადმინისტრაციული მონაცემების დამუშავებისა და გაანალიზების საფუძველზე. ამ მიზნით 2019 წელს საქსტატი გეგმავს დაუკვირვებადი ეკონომიკის გამოკვლევას სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში.

## **3. სტატისტიკის გამოყენების გაუმჯობესება**

სტატისტიკის გამოყენების გაუმჯობესების თვალსაზრისით საქსტატის ერთ-ერთი პრიორიტეტია ინტენსიური თანამშრომლობა მედიასთან და აქტიური დიალოგი მომხმარებლებთან, მათი მოთხოვნებისა და საჭიროებების შესწავლა.

ზემოთ აღნიშნულ მიზნებს ემსახურება ასევე ანალიზური საქმიანობის გაღრმავება, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საქსტატის მიერ წარმოებული მონაცემების

გამოყენებას და ამცირებს გავრცელებული ინფორმაციის არასწორი ინტერპრეტაციის რისკებს.

გასული წლების მსგავსად, 2018 წლის განმავლობაში საქსტატი აქტიურად თანამშრომლობდა სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან. ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში პერმანენტულად იმართებოდა შეხვედრები როგორც სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან, ისე რესპონდენტებთან. საქსტატის ხელმძღვანელობამ ჩაატარა გასვლითი შეხვედრები რეგიონებში, რომლებსაც ესწრებოდნენ ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობების, ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები. ჩატარდა ასევე თემატური სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან. რეგულარულად მიმდინარეობდა შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) და შვედეთის განვითარების სააგენტოს (SIDA) ფინანსური დახმარებით, საქსტატმა გენდერული სტატისტიკის მომხმარებლებისთვის რამდენიმე გასვლითი ტრენინგი ჩაატარა, რომლებშიც მონაწილეობდნენ სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების, სამეცნიერო წრეებისა და მედიის წარმომადგენლები.

სტატისტიკური საქმიანობის უკეთ კოორდინირებისა და ინფორმაციის გაცვლის მიზნით, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს კონკურენციის სააგენტოსთან, ბიზნეს ომბუდსმენტთან, ასევე რამდენიმე ასოციაციასთან.

სტატისტიკის გამოყენების გაუმჯობესების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მონაცემთა გავრცელების თანამედროვე და ეფექტური სისტემების ფუნქციონირება. ამ მიზნით, საქსტატმა 2018 წელს საფუძველი ჩაუყარა მონაცემთა გავრცელების ახალ მიმართულებებს, როგორცაა ინფოგრაფიკები, ვიდეორგოლები, GIF-ანიმაციები, ადვილად აღსაქმელი ცხრილები და გაუმჯობესებული დიზაინის მქონე პრესრელიზები.

ინფორმაციის გავრცელების ახალი მიმართულებები იძლევა ინფორმაციის მარტივად მიღების შესაძლებლობას და მოსახერხებელია ნებისმიერი დაინტერესებული მომხმარებლისთვის. 2018 წლის ივლისიდან წლის ბოლომდე საქსტატმა მოამზადა და გაავრცელა 16 ინფოგრაფიკა და 16 ვიდეორგოლი.

2018 წლის განმავლობაში ვიდეორგოლების განთავსება ხორციელდებოდა საქსტატის ოფიციალურ Facebook გვერდზე და Youtube-ის არხზე, ხოლო 2019 წლის მაისიდან ასევე განთავსდება საქსტატის ახალ ვებ-გვერდზე.

საქსტატი მონაცემთა გავრცელების სხვადასხვა საშუალებას იყენებს:

- ვებგვერდი
- მონაცემთა ბაზები PC–Axis-ის ფორმატში
- სოციალური მედია – (Facebook, Twitter, LinkedIn, YouTube)
- ანდროიდის ტიპის მობილური ტელეფონების აპლიკაცია
- სიახლეების გამოწერის სერვისი
- სტატისტიკური პუბლიკაციები
- დოკუმენტირებული ანგარიშები
- პრესრელიზები
- ვიდეორგოლი/GIF-ანიმაცია
- ინფოგრაფიკა
- პრესკონფერენციები, ბრიფინგები და სხვა ღონისძიებები
- ელ. ფოსტა და ცხელი ხაზი

საქსტატის ვებ-გვერდზე ყოველკვარტალურად ქვეყნდება ინფორმაცია კვარტალის განმავლობაში გავრცელებული სტატისტიკური პუბლიკაციების, პრესრელიზების, შემოსულ მოთხოვნებზე გაცემული პასუხებისა და ვებგვერდის ვიზიტორთა რაოდენობის შესახებ.

2018 წლის განმავლობაში:

- საქსტატიდან წერილობით გასულია 2122 ერთეული სტატისტიკური ინფორმაცია;
- მომზადდა 14 სტატისტიკური პუბლიკაცია;
- საქსტატის ვებგვერდით ისარგებლა 562 129 მომხმარებელმა;
- გავრცელდა 177 პრესრელიზი, რაც 16.4%-ით მეტია 2017 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით.

წლის განმავლობაში საქსტატი აქტიურად თანამშრომლობდა მედიის წარმომადგენლებთან. მედიამონიტორინგის შედეგების მიხედვით, 2018 წლის მანძილზე საქსტატი და სტატისტიკური მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია მედიაში მოხსენიებუ-

ლი იყო შემდეგი რაოდენობით: ტელევიზია 1369, პრესა 713, რადიო 719, საინფორმაციო სააგენტო 3268. გარდა ამისა, 2018 წლის მაისიდან წლის ბოლომდე, საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მიერ ჩატარდა 15 საინფორმაციო ხასიათის ბრიფინგი და პრესკონფერენცია.

### **გავრცელებული პუბლიკაციები**

- საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2018
- კვარტალური ბიულეტენი, IV 2017, I, II, III 2018
- საქართველოს ეროვნული ანგარიშები, 2017
- საქართველოს საგარეო ვაჭრობა, 2017
- საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი, 2018
- ბიზნეს სექტორი საქართველოში, 2018
- დემოგრაფიული ვითარება საქართველოში, 2017
- საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები
- საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2017
- საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა, 2017
- ქალი და კაცი საქართველოში, 2018

### **3. ახალი პროდუქტების შექმნა და ახალი სერვისების ამოქმედება**

2018 წლის განმავლობაში საქსტატი აქტიურად მუშაობდა ახალი ვებგვერდის შექმნაზე, რომელიც მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი იქნება 2019 წლის მაისიდან. თანამედროვე დიზაინის მქონე საქსტატის ახალი ვებგვერდი იქნება ბევრად მოქნილი და მომხმარებელზე მაქსიმალურად ორიენტირებული.

2018 წელს საქსტატმა აამოქმედა გენდერული სტატისტიკის პორტალი, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს ერთ სივრცეში მიიღოს საქსტატში არსებული ინფორმაცია გენდერულ ჭრილში. გენდერული სტატისტიკის პორტალი გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) ფინანსური მხარდაჭერით მომზადდა და მოიცავს თორმეტ სხვადასხვა მიმართულებას (მოსახლეობა, განათლება, ჯანდაცვა, დასაქმება, უმუშევრობა, სამართალდარღვევები და სხვა).

გენდერული სტატისტიკის პორტალზე მომხმარებელს შეუძლია მისთვის საინტერესო მაჩვენებელთან დაკავშირებით აირჩიოს ვიზუალიზაციის (გრაფიკული გამოსახულების) ტიპი, გადმოწეროს ფაილი სასურველ ფორმატში და PC Axis-ის მონაცემთა ბაზების საფუძველზე მოახდინოს ცხრილებისა და დიაგრამების ფორმირება, მის მიერ არჩეული პარამეტრების მიხედვით. პორტალზე წარმოდგენილია ასევე შესაბამისი საკანონმდებლო დოკუმენტაცია, გლოსარიუმი, ელექტრონული პუბლიკაციები და გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული სხვადასხვა სასარგებლო ბმული.

2018 წელს ამოქმედდა ასევე ახალი სერვისი - ხელფასების კალკულატორი, რომელიც სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, წინასწარ მითითებული პირობის შესაბამისად, გაიანგარიშოს საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი რეგიონების, ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა, სქესისა და დაკავებული პოზიციების/პროფესიების მიხედვით.

ხელფასების კალკულატორი, ისევე როგორც გენდერული სტატისტიკის პორტალი განთავსებულია საქსტატის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მომხმარებლისთვის.

2018 წელს საქსტატის მიერ შეიქმნა სხვადასხვა სახის ახალი სტატისტიკური პროდუქტები და მაჩვენებლები, როგორცაა:

- ყოველთვიური ენერგეტიკული სტატისტიკის მაჩვენებლები;
- მონაცემები ელექტროენერჯის და ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ფასების შესახებ;
- საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები (ექსპორტი და იმპორტი) ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა (NACE Rev2.) და საწარმოთა ზომების მიხედვით;
- დაიწყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის წარმოება ინტეგრირებული ფორმატით, რაც აჩვენებს როგორც არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტირების მიერ განხორციელებული დაბანდებების მოცულობას, ისე ნაშთებს დროის გარკვეული მომენტისთვის;
- მშენებლობის ღირებულების ყოველკვარტალური ინდექსი (CCI);
- დაქირავებით დასაქმებულთა ხელფასები დაკავებული თანამდებობების/ პოზიციების მიხედვით;

- სამუშაო ძალაზე გაწეული დანახარჯების ამსახველი მაჩვენებლები საქმიანობის სახეების მიხედვით;

- არაფორმალური დასაქმებისა და კვირის განმავლობაში ნამუშევარი საათების მაჩვენებლები საქმიანობის სახეების მიხედვით.

### **2018 წელს გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები**

გარდა ზემოთქმულისა, აღსანიშნავია ასევე რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც განხორციელდა საქსტატის მიერ 2018 წლის განმავლობაში, კერძოდ:

- **მოსახლეობის რიცხოვნობის ისტორიული მწკრივის გადაანგარიშება**

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერიდან მიღებულმა მონაცემებმა დღის წესრიგში დააყენა წინა წლების ძირითადი დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშებისა და განახლების აუცილებლობა, რათა მომხდარიყო ისტორიული მწკრივის ჰარმონიზაცია აღწერის შედეგებთან. აღწერათაშორის პერიოდში მონაცემების გადაანგარიშება ასევე რეკომენდებული იყო საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

გადაანგარიშების შედეგად ხელმისაწვდომი გახდა 1994-2013 წლების განახლებული მონაცემები, მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის, ბუნებრივი მოძრაობისა (დაბადება, გარდაცვალება) და გარე მიგრაციის შესახებ.

- **ძირეული ცვლილებები დასაქმების და უმუშევრობის სტატისტიკაში**

დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების მიმართ, საზოგადოების მხრიდან ყოველთვის არსებობდა განსაკუთრებული ინტერესი. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მაჩვენებლების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით, საქსტატმა დასაქმების და უმუშევრობის სტატისტიკაში განახორციელა ძირეული ცვლილებები. კერძოდ:

- შინამეურნეობების ინტეგრირებულ გამოკვლევას გამოეყო სამუშაო ძალის მოდული და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი, სრულმასშტაბიანი სამუშაო ძალის გამოკვლევის სახით;

- განხორციელდა გამოკვლევის ინსტრუმენტარის დეტალიზება, კითხვარს დაემატა ახალი მაჩვენებლები, ასევე განხორციელდა მისი სრულყოფა და დეტალიზება;

- შერჩევის ზომა გაიზარდა 3400-დან 6300 შინამეურნეობამდე;

- განახლდა შერჩევის დიზაინი ევროსტატის მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რაც წლიური პანელური შეფასებების საშუალებას იძლევა;

- განახლდა შერჩევის ჩარჩო, 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით;

- ზემოთქმულის გათვალისწინებით, განხორციელდა წინა ისტორიული მწკრივის გადაანგარიშება.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად, 2018 წლიდან საქსტატი დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლებს აქვეყნებს კვარტალური პერიოდულობით, რომლებიც ამ დრომდე მხოლოდ წლიური პერიოდულობით იყო ხელმისაწვდომი.

- **უცხოელ ვიზიტორთა გამოკვლევის შედეგების გამოქვეყნება**

2018 წელს პირველად გამოქვეყნდა უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკური გამოკვლევის შედეგები, რომელზე მუშაობაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად მიმდინარეობდა 2014 წლიდან.

- **აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლების ისტორიული მწკრივის გადაანგარიშება**

2017 წელს შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის შერჩევის ჩარჩოდ მოსახლეობის უკანასკნელი საყოველთაო აღწერის მონაცემთა ბაზის გამოყენებამ დღის წესრიგში დააყენა 2017 წლამდე არსებული მონაცემების გადაანგარიშება, რაც საქსტატის მიერ განხორციელდა 2018 წლის გაზაფხულზე.

- **ბიზნეს სტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლების ისტორიული მწკრივის გადაანგარიშება**

2018 წელს განხორციელდა ასევე ბიზნეს სტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლების ისტორიული მწკრივების გადაანგარიშება, საწარმოთა ზომის განსაზღვრის ახალი მეთოდოლოგიისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის - NACE Rev.2-ის შესაბამისად.

- **2018 წელს განხორციელებული პროექტები**

2018 წელს საქსტატის მიერ განხორციელებულ პროექტებს შორის აღსანიშნავია:

- **მრავალინდიკატორიანი კლასტერული გამოკვლევა (MICS)**

საქსტატმა, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ტექნიკური და ფინანსური

მხარდაჭერით, 2018 წელს ჩაატარა მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევა (MICS), რომელიც შინამეურნეობების ერთ-ერთ უდიდეს გამოკვლევას წარმოადგენს მსოფლიოში.

გამოკვლევის შედეგად შეგროვდა დეტალური მონაცემები ქვეყანაში ბავშვებისა და ქალების მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე სასმელი წყლის ხარისხისა და ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობის შესახებ.

- **ქალთა მიმართ ძალადობის გამოკვლევა**

ქალთა მიმართ ძალადობის გამოკვლევა საქართველოში საქსტატის მიერ ჩატარდა გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ევროკავშირის მხარდაჭერით, პროექტის - „ერთად დავძლიოთ ქალთა მიმართ ძალადობა“- ფარგლებში. გამოკვლევის შედეგად განხორციელდა ეროვნული მასშტაბის მონაცემების მოპოვება ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის შესახებ, ასევე ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე მოსახლეობის დამოკიდებულებებისა და აქტების შესახებ. პირველად საქართველოში, გამოკვლევამ ასევე შეისწავლა სექსუალური შევიწროებისა და ადევნების საკითხები. გამოკვლევის მოსამზადებელი სამუშაოები 2017 წელს დაიწყო, ხოლო ძირითადი შედეგები გამოქვეყნდა 2018 წლის გაზაფხულზე.

- **გამოკვლევა აქტივების ფლობის შესახებ გენდერულ ჭრილში**

გენდერულ ჭრილში აქტივების ფლობისა და მეწარმეობის გაზომვის მზარდი საჭიროებიდან გამომდინარე, საქსტატმა აზიის განვითარების ბანკთან (ADB) ერთად პირველად ჩაატარა პილოტური გამოკვლევა "გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვება აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე", რომლის შედეგებიც გამოქვეყნდა 2018 წლის გაზაფხულზე.

**2018 წელს საქსტატში განხორციელებული ცვლილებები დეპარტამენტების მიხედვით**

**6.1 ეროვნული ანგარიშები**

- ეროვნულ ანგარიშთა სისტემის საერთაშორისო მეთოდოლოგიის (SNA 2008) დანერგვის მიზნით, მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები მეთოდოლოგიურ ცვლილებებთან დაკავშირებით. კერძოდ:



- ფინანსური მომსახურების არაპირდაპირი შეფასების (FISIM) ექსპერიმენტული გაანგარიშების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული სამუშაოები;
- კვლევებსა და დამუშავებასთან დაკავშირებული ხარჯების მოცულობის შეფასების სრულყოფასთან დაკავშირებული სამუშაოები.
- მიმდინარეობდა მუშაობა ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის NACE Rev.2-ის ვერსიის დანერგვასთან დაკავშირებით;
- მიმდინარეობდა მუშაობა საკუთარი საცხოვრისის პირობითი რენტის გაანგარიშების მეთოდის სრულყოფასთან დაკავშირებით;
- სექტორული ანგარიშების საცდელი გაანგარიშების სრულყოფის მიზნით, მოზიდულ იქნა დამატებითი ინფორმაცია არაფინანსური კორპორაციების მიერ საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების შესახებ;
- მიმდინარეობდა მუშაობა ეროვნული ანგარიშების წარმოების დეტალური მეთოდოლოგიური განმარტების შექმნასთან დაკავშირებით;
- განხორციელდა ტერიტორიული ერთეულების მიერ შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება საბაზრო ფასებში;
- საერთაშორისო შედარებების 2017 წლის რაუნდისთვის (ICP 2017), განისაზღვრა 2017 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის დანახარჯების დეტალური სტრუქტურა, საერთაშორისო მეთოდოლოგიით გათვალისწინებული კლასიფიკაციის ფორმატის შესაბამისად;
- მიმდინარეობდა თანამშრომლობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, დამატებული ღირებულების გადამხდელთა ბრუნვების მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის მიმართულებით. აღნიშნული ინფორმაცია საფუძვლად უდევს ყოველთვიური ეკონომიკური ზრდის ტენდენციების გაანგარიშებას.

## **6.2 ფასების სტატისტიკა**

### ***სამომხმარებლო ფასების ინდექსი***

- განხორციელდა 2019 წლის სამომხმარებლო კალათის შემადგენლობისა და წონების განახლება, ეროვნული ანგარიშებისა და შინამეურნეობების დანახარჯების უახლესი სტრუქტურის შესაბამისად. 2019 წლის სამომხმარებლო კალათა გაზრდილია და შედგება 306 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან.

- სამომხმარებლო ფასებისა და ტარიფების გამოკვლევაში განხორციელდა პლან-შეტური კომპიუტერების დანერგვა, რამაც ჩაანაცვლა ქაღალდის კითხვარები. ზემოთ აღნიშნულის შედეგად, ფასების რეგისტრაცია გახდა უფრო ოპერატიული, სანდო და ეფექტიანი.

### ***მწარმოებელთა და იმპორტის ფასების ინდექსები***

- დაიწყო ახალი სტატისტიკური ინდიკატორის - მშენებლობის ღირებულების ინდექსის (Construction Cost Index – CCI) წარმოება და გავრცელება, რომელიც წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად საჭირო სამშენებლო მასალებისა და მომსახურებების ფასების საშუალო მაჩვენებელს, საბაზო პერიოდთან შედარებით. საქსტატმა მშენებლობის ღირებულების ინდექსის საცდელი გაანგარიშება დაიწყო 2017 წლიდან, ხოლო 2018 წლის ივნისიდან მონაცემების გამოქვეყნება ხორციელდება ყოველკვარტალურად;

- განხორციელდა შერჩევის ჩარჩოს განახლება და წონების გაანგარიშება ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული პროდუქციის მწარმოებელთა, სატვირთო გადაზიდვების, მშენებლობისთვის შეძენილი მასალების, ექსპორტისა და იმპორტის ფასების ინდექსებისთვის.

### ***საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსი***

- საქსტატმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების დახმარებით, 2018 წლიდან დაიწყო მუშაობა ახალი სტატისტიკური ინდიკატორის - საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსის (Residential Property Price Index – RPPI) გაანგარიშებაზე. აღნიშნული ინდექსი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების საშუალო მაჩვენებელს, საბაზო პერიოდთან შედარებით. RPPI მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელოვანი ინდიკატორია. მისი ძირითადი მომხმარებლები იქნებიან საქართველოს ეროვნული ბანკი და კერძო დეველოპერები. აღნიშნული მაჩვენებელი გამოიყენება აგრეთვე ეროვნული ანგარიშების მიზნებისთვის და ხელს შეუწყობს როგორც უძრავი ქონების ბაზრის განვითარებას, ისე აღნიშნულ სექტორში შესაძლო რისკების შეფასებას.

### **საერთაშორისო შედარებების პროგრამა**

2018 წელს შესრულდა საერთაშორისო შედარებების პროგრამის 2017 წლის რაუნდით გათვალისწინებული სამუშაოები, კერძოდ:

- სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების, ასევე სამშენებლო და საინვესტიციო საქონლის ფასების სტატისტიკური გამოკვლევა;
- საჯარო სექტორში შრომის ანაზღაურების გამოკვლევა;
- ქვეყნის საბინაო ფონდის, ასევე განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების შესახებ სხვადასხვა სახის ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება.

პროგრამის მიზანს წარმოადგენდა მასში მონაწილე ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის შედარება ვალუტების მსყიდველობითი უნარის პარიტეტის (Purchasing Power Parity - PPP) გათვალისწინებით.

### **6.3. საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა**

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესაბამისად:

- განხორციელდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მდგომარეობის ამსახველი მაჩვენებლების გავრცელება ქვეყნების მიხედვით, ინტეგრირებული ფორმატით;
- საგარეო ვაჭრობის მონაცემები გავრცელდა ახალი კლასიფიკაციით: ეკონომიკური საქმიანობის სახეების (NACE Rev.2) და საწარმოთა ზომების მიხედვით;
- განხორციელდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ისტორიული დინამიკური მწკრივების გადასინჯვა და გადაანგარიშება.

### **6.4 ბიზნეს სტატისტიკა**

• განხორციელდა საწარმოთა გენერალური ერთობლიობის (შერჩევის ჩარჩო) განახლება და საწარმოთა მოცვის ხარისხის გაუმჯობესება. აქტიურ საწარმოთა წილი, რომლებსაც არ ჰქონდა მითითებული ეკონომიკური საქმიანობის სახე, 2,0%-დან შემცირდა 1,5%-მდე.

- დაინერგა ყოველთვიური ენერგეტიკული სტატისტიკის მაჩვენებლების წარმოება;
- დაინერგა ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ფასების ნახევარწლიური მონაცემების წარმოება;

- განხორციელდა წინა ისტორიული მწკრივების გადაანგარიშება, საწარმოთა ზომის განსაზღვრის ახალი მეთოდოლოგიისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის NACE Rev. 2-ის მიხედვით.

- პირველად ჩატარდა ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებების გამოკვლევა;

- საქსტატმა დაიწყო უცხოელ ვიზიტორთა გამოკვლევის შედეგების გამოქვეყნება, კვარტალური პერიოდულობით;

- უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკურ გამოკვლევაში პლანშეტური კომპიუტერების გამოყენებით დაინერგა მონაცემთა შეგროვების CAPI-ის მეთოდი.

### 6.5 სოციალური სტატისტიკა

- ჩატარდა „ქალთა მიმართ ძალადობის გამოკვლევა“;

- ჩატარდა გამოკვლევა „გენდერულად დიფერენცირებული მონაცემები აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე“;

- განხორციელდა შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის 2002-2016 წლების მონაცემების გადაანგარიშება მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით;

- განხორციელდა სხვადასხვა სახის გამოკვლევის კითხვარების (მაგალითად, „შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გამოკვლევა“) სრულყოფა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

- განხორციელდა ძირეული ცვლილებები დასაქმების და უმუშევრობის სტატისტიკაში, რამაც გააუმჯობესა შესაბამისი მონაცემების ხარისხი. 2018 წლიდან დაიწყო დასაქმებისა და უმუშევრობის კვარტალური მონაცემების გამოქვეყნება, რამაც შესაძლებელი გახადა 2 თვით შემცირებულიყო წლიური მონაცემების გამოქვეყნების ვადები;

- განხორციელდა დასაქმებისა და უმუშევრობის 2002-2016 წლების მონაცემების გადაანგარიშება მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით.

- განხორციელდა აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლების ისტორიული მწკრივის გადაანგარიშება, მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით.

- შრომის სტატისტიკის მაჩვენებლების გაუმჯობესებისა და სრულყოფის მიზნით, სხვადასხვა ინსტიტუციური სექტორიდან შეგროვდა და დამუშავდა შემდეგი მონაცემები: 1) დაქირავებით დასაქმებულთა ხელფასები დაკავებული თანამდებობების/პოზიციების მიხედვით 2) სამუშაო ძალაზე გაწეული დანახარჯების სტრუქტურის მონაცემები. მსგავსი ტიპის გამოკვლევის ჩატარება დაგეგმილია ყოველ 4 წელიწადში ერთხელ.

- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით საქსტატმა დაიწყო შრომის სტატისტიკოსთა მე-19 კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციით გათვალისწინებული სტანდარტების - „შრომითი საქმიანობის, დასაქმებისა და არსასრულად გამოყენებული სამუშაო ძალის სტატისტიკის შესახებ“ დანერგვის პროცესი, რაც ითვალისწინებს თვითდასაქმებულთა გადაკვალიფიცირებას.

### **მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა (MICS)**

საქსტატმა, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით ჩაატარა მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევა (MICS).

MICS გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შემუშავებული პროგრამაა, რომელიც შინამეურნეობების ერთ-ერთ ყველაზე დიდ საერთაშორისო გამოკვლევას წარმოადგენს მსოფლიოში. გამოკვლევის პროგრამა შემუშავდა იმ ძირითადი მონაცემების შეგროვების მიზნით, რომლებიც ქალებისა და ბავშვების მდგომარეობის შესაფასებლად გამოიყენება.

გამოკვლევის შედეგები იქნება საერთაშორისო დონეზე შედარებადი, ამასთან ერთად ასახავს მდგრადი განვითარების მიზნებს და ისეთ აქტუალურ საკითხებს როგორცაა: სასამელო წყლის ხარისხი, ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობა, სოციალური ტრანსფერები, ჯანმრთელობა, ბავშვებისა და უფროსების ქცევა, ცხოვრებით კმაყოფილება, ეკოლოგიურად სუფთა საწვავისა და ტექნოლოგიების გამოყენება, ვიქტიმიზაციასთან დაკავშირებული საკითხები.

მონაცემთა შეგროვება მიმდინარეობდა საქსტატის ინტერვიუერების მიერ 3 თვის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 14 000-მდე შინამეურნეობაში. გარდა ამისა, სისხლში ტყვიის შემცველობის დასადგენად, ფლებოტომისტების მიერ, ქვეყნის

მასშტაბით განხორციელდა 2-დან 7 წლის ასაკის 1600-მდე ბავშვის გამოკვლევა. ანალიზები ლაბორატორიული შემოწმების მიზნით გაიგზავნა იტალიაში.

წყლის შემოწმება მოიცავდა სასმელი წყლის ნიმუშების აღებას ყოველ მეოთხე ოჯახში, ნაწლავის ჩხირის არსებობაზე შესამოწმებლად. შედეგები გამოავლენს სასმელი წყლის ხარისხს რეგიონულ ჭრილში.

გამოკვლევის შედეგად საქართველოში შეგროვდა საერთაშორისო დონეზე შესადარისი მონაცემები სხვადასხვა ჭრილში, რაც მნიშვნელოვანია მონაცემებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებისთვის.

გამოკვლევის შედეგები მნიშვნელოვანია ასევე გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებით გათვალისწინებული ინდიკატორების გაანგარიშების თვალსაზრისით. 232 გლობალური ინდიკატორიდან 30%-ის გენერირება შესაძლებელია შინამეურნეობების გამოკვლევიდან, ხოლო აქედან დაახლოებით 48% მიიღება MICS-ის გამოკვლევის შედეგად.

გამოკვლევის საბოლოო შედეგები ხელმისაწვდომი იქნება - 2019 წლის პირველ ნახევარში.

### გენდერული სტატისტიკა

საქსტატმა 2018 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა გენდერული სტატისტიკის განვითარებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების თვალსაზრისით. კერძოდ:

- მომზადდა გენდერული სტატისტიკის პორტალი, რომელიც მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს გენდერული სტატისტიკის მომხმარებლებს, დამოუკიდებლად და დროის უმოკლეს შუალედში, ერთ სივრცეში მოიძიონ მათთვის საჭირო სტატისტიკური მონაცემები.

- მომზადდა სტატისტიკური პუბლიკაცია „ქალი და კაცი საქართველოში 2018“, სადაც წარმოდგენილია ასევე მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ინდიკატორები კრებულის ცხრილებთან მიმართებაში. პუბლიკაციაში წარმოდგენილია ასევე ქალთა მიმართ ძალადობისა და აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე პილოტური გამოკვლევის ძირითადი შედეგები.

- წლის განმავლობაში მიმდინარეობდა აქტიური შეხვედრები და ტრენინგები მომხმარებლებთან, რომლის დროსაც მონაწილეები ეცნობოდნენ საქართველოში სტატისტიკის სისტემის განვითარების ძირითად მიმართულებებს, გენდერული სტატისტიკის განვითარების ეტაპებს, მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგიებს და თავისებურებებს.

### 6.6 მოსახლეობის აღწერა და დემოგრაფიული სტატისტიკა

- გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) ფინანსური და ტექნიკური დახმარების ფარგლებში, მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემებთან ჰარმონიზაციის მიზნით, განხორციელდა წინა წლების (1994-2014) დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშება;

- 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით მომზადდა და საქსტატის ვებგვერდზე განთავსდა თემატური ინტერაქტიული რუკები;

- 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის საბოლოო მონაცემების მიხედვით მომზადდა სტატისტიკური პუბლიკაცია „საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები“.

### 6.7 სოფლის მეურნეობის და გარემოს სტატისტიკა

- სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევაში, პლანშეტური კომპიუტერების გამოყენებით დაინერგა მონაცემთა შეგროვების CAPI-ს მეთოდი, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს გამოკვლევის ფარგლებში შეგროვებული მონაცემების ხარისხს და ამცირებს შეგროვებისთვის საჭირო რესურსებს.

- ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) მჭიდრო თანამშრომლობით, ჩატარდა სავსელ პერსონალის ტრენინგი სხვადასხვა მიმართულებით;

- ჩატარდა აკვაკულტურის მეურნეობების საპილოტე გამოკვლევა CAPI-ს მეთოდის გამოყენებით, რომლის საფუძველზეც ხელმისაწვდომია აკვაკულტურის მაჩვენებლები რეგიონულ ჭრილში;

- გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) პროექტის - „სოფლის მეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევები“-ს (AGRIS) ფარგლებში, მომ-

ზადდა სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევის განახლებული კითხვარები (დაემატა კითხვები AGRIS-ის დასაქმების და ეკონომიკური მოდულების მიხედვით) და განხორციელდა მათი ტესტირება. დამატებითი მოდულები საქსტატს საშუალებას მისცემს აწარმოოს ახალი მაჩვენებლები მეურნეობების ეკონომიკური აქტივობებისა და მეურნეობაში დასაქმებულების შესახებ, რაც ასევე თანხვედრაშია მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორებთან.

- საქსტატის გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის პორტალზე დაემატა 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგების ამსახველი ინტერაქტიული რუკები;
- გავრცელდა სოფლის მეურნეობის სტატისტიკის ახალი ინდიკატორები მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული მიწის ფართობების შესახებ;
- განხორციელდა წყალმომარაგებელი საწარმოების გამოკვლევა, რომელმაც მოიცვა საქართველოში წყალმომარაგებითი საქმიანობით დაკავებული ყველა მოქმედი საწარმო;
- განხორციელდა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) მიერ შემუშავებული გარემოსდაცვითი ინდიკატორების გაანგარიშება და გავრცელება;
- მომზადდა გარემოსდაცვითი ეკონომიკური ანგარიში „მატერიალური ნაკადების შესახებ“. ასევე დაიწყო მუშაობა „გარემოსდაცვითი გადასახადების“ და „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის“ ანგარიშების წარმოების მიმართულებით.

### 6.8 ინფორმაციული ტექნოლოგიები

- შეიქმნა პროგრამული პროდუქტი - გენდერული სტატისტიკის პორტალი;
- შეიქმნა პროგრამული პროდუქტი - ხელფასების კალკულატორი;
- მიმდინარეობდა მუშაობა საქსტატის ახალი ვებგვერდის შექმნაზე;
- მიმდინარეობდა მუშაობა საქსტატის ანდროიდ აპლიკაციის განახლებაზე;
- განხორციელდა ონლაინ ბიზნეს რეგისტრის პორტალის პროგრამული განახლება;
- კომპიუტერულ ინფრასტრუქტურაში განხორციელდა უსაფრთხოების მოდულების განახლება;
- შემუშავდა კადრების აღრიცხვის ავტომატური სისტემა, სამუშაო ადგილზე გამოცხადებისა და სამუშაო ადგილიდან წასვლის სრულყოფილი აღრიცხვის მიზნით;



- მიმდინარეობდა სხვადასხვა სტატისტიკური გამოკვლევების პროგრამული უზრუნველყოფისა და შესაბამისი კომპიუტერული მხარდაჭერის სამუშაოები.

## 6.9. შიდა აუდიტი და მონიტორინგი/ინსპექტირება

შიდა აუდიტის დეპარტამენტმა, წლიური გეგმებით გათვალისწინებული სამუშაოების ფარგლებში, 2018 წლის განმავლობაში განახორციელა როგორც შიდა აუდიტორული<sup>1</sup> შემოწმებები, ისე მონიტორინგი/ინსპექტირება<sup>2</sup>.

შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის, სტანდარტების, აუდიტორთა ეთიკის კოდექსისა და შიდა აუდიტის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტების გათვალისწინებით, 2018 წლის განმავლობაში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

1. ხარისხიხის აუდიტი სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტის ტურიზმის კვლევების სამმართველოში.

2. შესაბამისობის აუდიტი შემდეგ დეპარტამენტებში:

- ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტი;
- სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის დეპარტამენტი;
- მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის დეპარტამენტი.

3. გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

4. საველე სამუშაოების მონიტორინგი/ინსპექტირება შემდეგი გამოკვლევების ფარგლებში:

- სამომხმარებლო ფასების გამოკვლევა;
- სამუშაო ძალის გამოკვლევა;
- საგარეო ეკონომიკური საქმიანობის გამოკვლევა;
- უცხოელ ვიზიტორთა გამოკვლევა;
- ადგილობრივი ტურიზმის გამოკვლევა;
- შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევა;
- სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევა;
- საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა.

<sup>1</sup> „2018 წელს შიდა აუდიტის ჩატარების წლიური გეგმა“ - ბრძანება 25.12.2017 №140

<sup>2</sup> „მონიტორინგი/ინსპექტირების 2018 წლის სამოქმედო გეგმა“ - ბრძანება 25.12.2017 №139

## თავი V. საერთაშორისო თანამშრომლობა

ოფიციალური სტატისტიკის ეფექტიანი წარმოების მიზნით საქსტატი მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და განვითარებული ქვეყნების სტატისტიკის სამსახურებთან. ამასთან, საქსტატი ყველა ძირითად სტატისტიკურ გამოკვლევაში ხელმძღვანელობს საერთაშორისო მეთოდოლოგიით, რაც უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას. აღსანიშნავია ისიც, რომ “ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და გამოცდილებას.

საერთაშორისო სტანდარტების და მეთოდოლოგიების შემუშავება ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, როგორცაა ევროსტატი, გაერო, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია და სხვა.

აღსანიშნავია საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკის სამსახურებთან თანამშრომლობის რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2018 წლის განმავლობაში:

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგის 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო ორი საკითხის შესრულება, ხოლო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ეროვნული სამოქმედო გეგმა (DCFTA) ითვალისწინებდა ერთი საკითხის შესრულებას. სამივე საკითხი შესრულდა სრულად, კერძოდ:

1. **ხარისხის ანგარიშების** (დოკუმენტები, რომლებშიც დახასიათებულია სტატისტიკური მონაცემების ხარისხის კრიტერიუმები და მათ უზრუნველსაყოფად გატარებული ზომები) **მომზადება გამოკვლევების უმრავლესობისთვის.** ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ 2018 წელს სტატისტიკური გამოკვლევების დიდი ნაწილისთვის მომზადდა მეტამონაცემები ევროსტატის ფორმატით (Euro-SDMX Metadata Structure - ESMS), რომელიც შეიცავს ხარისხის ანგარიშების ყველა ელემენტს. მეტამონაცემების სტრუქტურის მიზანია მეთოდოლოგიების, ხარისხისა და სტატისტიკური მონაცემების წარმოების პროცესების აღწერა. იგი შედგება 19 ნაწილისაგან, რომლებიც ჩაშლილია შემადგენელ ქვე-ნაწილებად. აღნიშნული მასალები განთავსებულია

საქსტატის ვებგვერდზე, მეტამონაცემების ნაწილში. პარალელურად გრძელდება მუშაობა დარჩენილი გამოკვლევებისთვის ხარისხის ანგარიშების მომზადებაზე.

**2. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალი მეთოდოლოგიის (SNA-2008) დანერგვა.** ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში დაინერგა ეკონომიკური საქმიანობის სახეების საერთაშორისო კლასიფიკატორის NACE rev.2-ის ვერსია. შესაბამისად, 2018 წელს გათვალისწინებული სამუშაოები შესრულებულია სრულად. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის საკითხებთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების ჩართულობით. ახალი მეთოდოლოგიით დათვლილი მონაცემების გამოქვეყნდება დაგეგმილია 2019 წელს.

**3. საქონლით საგარეო ვაჭრობის მონაცემების დამუშავება ეკონომიკური საქმიანობის სახეების (NACE Rev. 2) მიხედვით, რაც შესრულდა სრულად.**

#### **თანამშრომლობა შვედეთის სტატისტიკის ბიუროსთან**

2018 წელს დასრულდა საქსტატსა და შვედეთის სტატისტიკის სამსახურს შორის 7 წლიანი თანამშრომლობის პროექტი, რომელიც დაიწყო 2011 წელს და მიმდინარეობდა 2018 წლის ივლისამდე.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა ფასების, ბიზნეს სტატისტიკის, ეროვნული ანგარიშების, სოციალური სტატისტიკის და გარემოს სტატისტიკის მეთოდოლოგიების დახვეწა. თანამშრომლობა მოიცავდა ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიების და მენეჯმენტის კომპონენტებს. ცალკე აღსანიშნავია ბიზნეს სტატისტიკის, გენდერული სტატისტიკის, სოციალური სტატისტიკის, ტურიზმის სტატისტიკისა და ხარისხის მართვის მიმართულებით არსებული მიღწევები. თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშებისას გამოყენებული მეთოდოლოგიების მიახლოება ევროსტანდარტებთან, შემუშავდა კონფიდენციალურობის პოლიტიკის დოკუმენტი, დაინერგა და დაიხვეწა ხარისხის მართვის სისტემა. პროექტის ფარგლებში დაიწყო ასევე მუშაობა ოფიციალური სტატისტიკის შესახებ კანონის ახალ რედაქციაზე, განახლებული ფორმატით გამოქვეყნდა გენდერული სტატისტიკის პუბლიკაცია.

შვიდწლიანი თანამშრომლობის ფარგლებში საქსტატმა მიიღო შვედი ექსპერტების ასზე მეტი მოკლევადიანი მისია. პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა სტატისტი-

კური პუბლიკაციები, ჩატარდა სემინარები და ტრენინგები. შვედი კოლეგების დახმარებით საქსტატის თანამშრომლები მონაწილეობდნენ სასწავლო ვიზიტებსა და საზაფხულო სკოლებში.

### **თანამშრომლობა დანიის სტატისტიკის სამსახურთან**

2018 წლის აგვისტოში საქსტატმა ევროკავშირის წარმომადგენლობაში წარადგინა საპროექტო წინადადება (ე.წ. Fiche) საქართველოს სტატისტიკური სისტემის შესაძლებლობების გაძლიერებასთან დაკავშირებით (Strengthening the Capacity of the Georgia Statistical System - GE 16 ENI ST 06 18).

ევროკავშირის პროგრამა Twinning-ის პროექტი, რომელიც ევროკავშირის მიერ 2018 წლის სექტემბერში დამტკიცდა, მიზნად ისახავს ქვეყანაში სტატისტიკის სისტემის შემდგომ გაძლიერებას, საქსტატის მიერ დროული, საერთაშორისო დონეზე შესაძარისი, სანდო მონაცემების წარმოებას და მის დაახლოებას ევროპულ სტანდარტებთან.

Twinning-ის პროექტის განხორციელება საქსტატში 2019 წლის აპრილში დაიწყო და 2 წლის განმავლობაში გაგრძელდება. თანამშრომლობა მოიცავს ოთხ ძირითად კომპონენტს: ეროვნული ანგარიშები, ბიზნესის სტატისტიკა, საგარეო სექტორის სტატისტიკა და სოციალური სტატისტიკა. პროექტს განახორციელებს მსოფლიოში ერთ-ერთი განვითარებული სტატისტიკის სისტემის მქონე - დანიის სტატისტიკის სამსახური.

### **სტატისტიკის სისტემის გლობალური შეფასება**

2018 წელს საქსტატის ინიციატივით, სტატისტიკის სისტემის გლობალური შეფასება განხორციელდა, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში, საერთაშორისო ორგანიზაციების - ევროსტატის, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE), ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციისა (EFTA) და ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკური სამსახურების ექსპერტების მიერ მიმდინარეობდა.

მისიის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს სტატისტიკური სისტემის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის დონის განსაზღვრა. მისიის ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრები, როგორც ოფიციალური სტატისტიკის ძირითად მწარმოებ-

ლებთან, ისე მომხმარებლებთან, სამეცნიერო წრეებისა და მედიის წარმომადგენლებთან. ექსპერტთა შემაჯამებელ მისიას საქსტატი 2019 წლის თებერვალში მასპინძლობდა. შეფასების საბოლოო ანგარიში ხელმისაწვდომი იქნება 2019 წლის ზაფხულში.

### **გენდერული სტატისტიკის სისტემის შეფასება**

2018 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მიერ დაქირავებული, დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ, განხორციელდა საქართველოში გენდერული სტატისტიკის წარმოების შეფასება. შეფასებაში წარმოჩენილია გენდერული სტატისტიკის სფეროში არსებული მიღწევები, იდენტიფიცირებულია ხარვეზები და დასახულია რეკომენდაციები სისტემის შემდგომი გაუმჯობესების თვალსაზრისით.

### **ბიზნეს სტატისტიკის ექსპერტთა ჯგუფის წევრობა**

2018 წლის დასაწყისში გაეროს სტატისტიკურმა კომისიამ (UNSC) მიიღო გადაწყვეტილება (დადგენილება #48/114) ბიზნეს სტატისტიკის ექსპერტთა ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით, რომელიც ბიზნეს სტატისტიკასთან და რეგისტრებთან დაკავშირებულ საერთაშორისო, მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოზე იმუშავებდა.

ექსპერტთა ჯგუფის ფორმირება განახორციელა ერთობლივად გაერომ და ევროსტატმა იმ ქვეყნებიდან, რომლებშიც მათი შეფასებით განვითარებული იყო სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრისა და ბიზნეს სტატისტიკის წარმოება, ამასთან ქვეყანამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია დროის მოკლე მონაკვეთში.

შესაბამისად, ბიზნეს სტატისტიკის და ბიზნეს რეგისტრის სფეროში აღნიშნული ქვეყნების გამოცდილება ჩართული იქნება აღნიშნულ მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოში, როგორც საუკეთესო პრაქტიკა, რომლითაც იხელმძღვანელებს მთელი მსოფლიო.

ჯგუფის ფორმირებისას, მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტიდან შეირჩა 5-6 ქვეყანა. აღსანიშნავია, რომ ევროპიდან შერჩეული ქვეყნების ექვსეულში საქართველო შეირჩა, შემდეგ ქვეყნებთან ერთად: იტალია, საფრანგეთი, ავსტრია, შვეიცარია, გაერთიანებული სამეფო.

## UNESCAP-ის სტატისტიკის კომიტეტის ბიუროს წევრობა

2018 წლის ოქტომბერში, ქ. ბანგკოკში (ტაილანდის სამეფო) გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკური და სოციალური კომისიის (UNESCAP) სტატისტიკის კომიტეტის მე-6 სესიაზე, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი ორი წლის ვადით აირჩიეს სტატისტიკის კომიტეტის ბიუროს წევრად.

ბიურო სტატისტიკის კომიტეტის საკონსულტაციო და მაკოორდინირებელი ორგანოა, რომელიც მას თავისი ფუნქციების შესრულებაში ეხმარება. განახლებული ბიურო 6 წევრისგან შედგება, რომელიც საქართველოსთან ერთად, ჩინეთის, ირანის მალაიზიის, მიანმარის და სამოას სტატისტიკის სამსახურების ხელმძღვანელებს აერთიანებს.

## სტატისტიკის სისტემის განვითარების სტრატეგია

2018 წელს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, ქვეყანაში სტატისტიკის განვითარების 2020-2023 წლების ეროვნულ სტრატეგიაზე მუშაობა დაიწყო.

სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების მიზანს წარმოადგენს ქვეყანაში სტატისტიკის სისტემის განვითარება, სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, გავრცელებისა და გამოყენების გაუმჯობესება. ამასთან, აღნიშნული სტრატეგია განიხილება, როგორც ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდება დაინტერესებული მხარეების ფართო მონაწილეობით და შეიცავს საშუალო და გრძელვადიან ხედვას, ქვეყანაში სტატისტიკის სისტემის შესაძლებლობების გაძლიერებისათვის.

სტრატეგიის შემუშავებისას 2018 წლის დეკემბერში, საქსტატს სამუშაო ვიზიტით ეწვია საერთაშორისო ექსპერტი, რომელმაც აღნიშნული პერიოდის განმავლობაში სამუშაო შეხვედრები გამართა საქსტატის სტრუქტურულ ერთეულებთან. ვიზიტის ფარგლებში, გაიმართა ასევე შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სამეცნიერო წრეებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ინფორმაციის მწარმოებლებთან და მომხმარებლებთან, სადაც განხილულ იქნა ეროვნული სტატისტიკური სისტემის ირგვლივ არსებული გამოწვევები და შესაძლებლობები.

სტატისტიკის განვითარების 2020-2023 წლების ეროვნულ სტრატეგიაზე მუშაობა 2019 წლის განმავლობაშიც გაგრძელდება.

## სხვა საერთაშორისო აქტივობები

2018 წლის განმავლობაში საქსტატი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებში საზღვარგარეთ. გარდა ამისა, საქსტატი იყო საქართველოში, სტატისტიკის სხვადასხვა თემაზე ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციების, სემინარებისა და საერთაშორისო ექსპერტთა მისიების ერთ-ერთი ორგანიზატორი, კერძოდ:

- 2018 წლის მარტში თბილისში, ევროსტატის ორგანიზებით, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის (EECCA), ჩატარდა სემინარი ცხოვრების დონის სტატისტიკასთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელორუსის, მოლდოვის, უკრაინის, ყირგიზეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთისა და უზბეკეთის სტატისტიკის სამსახურების წარმომადგენლებმა. სემინარის დროს განხილულ იქნა ცხოვრების დონის სტატისტიკის წარმოებასთან და გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხები.

- 2018 წლის იანვარში ქ. თბილისში, ევროსტატის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო სასწავლო კურსი თემაზე: „საგადასახდელი ბალანსი და მასთან დაკავშირებული საკითხები“. სასწავლო კურსს საქსტატის წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების სტატისტიკის სამსახურების წარმომადგენლები.

- 2018 წლის ოქტომბერში ქ. თბილისში, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA), ნორვეგიის სტატისტიკის სამსახურისა და საქსტატის ორგანიზებით ჩატარდა სემინარი თემაზე: „სტატისტიკურ მონაცემთა შეჯერება სხვადასხვა წყაროების და მეთოდების გამოყენებით“. სემინარში საქსტატის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდნენ ევროპის, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების სტატისტიკის სამსახურების წარმომადგენლები.

- 2018 წლის აპრილში გაეროს სტატისტიკის განყოფილების (UNSD), გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) და საქსტატის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო სემინარი, რომელშიც მონაწილეობდნენ სამხრეთ კავკასიის, შუა აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სტატისტიკის სამსახურების წარმომადგენლები. სემინარის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის აღწერის 2020 წლის მსოფლიო რაუნდისათვის შემუშავებული საერთაშორისო რეკომენდაციების და სტანდარტების

გაცნობა. ამასთან ერთად, სემინარის მსვლელობის დროს მონაწილე ქვეყნებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება მონაცემების შეგროვების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით;

- 2018 წლის ივლისში საქსტატში სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ტაჯიკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან არსებული სტატისტიკის სააგენტოს წარმომადგენლები. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საქსტატის გამოცდილების გაზიარება, ტაჯიკეთის რესპუბლიკაში 2020 წელს დაგეგმილი მოსახლეობის საყოველთაო აღწერის განხორციელებისას, გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების გამოყენებასთან დაკავშირებით.

- 2018 წლის ნოემბერში საქსტატი, ევროკომისიის ტექნიკური მხარდაჭერისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) პროექტის ფარგლებში, მასპინძლობდა ექსპერტთა მისიას, რომლის ძირითადი მიზანი იყო საქართველოში მოსახლეობის რეგისტრის დანერგვის შესაძლებლობების შესწავლა, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და სარეკომენდაციო ხასიათის ანგარიშის მომზადება.

- 2018 წლის აპრილში და ოქტომბერში, საქსტატში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ევროსტატის ექსპერტები. შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა საქართველოს საერთაშორისო შედარებების პროგრამის (International Comparison Program, ICP) 2017 წლის რაუნდში მონაწილეობასთან დაკავშირებული სამუშაოების დაგეგმვა და საქსტატის მიერ განხორციელებული სამუშაოების რევიზია.

- 2018 წლის აპრილსა და დეკემბერში საქსტატში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტები. ვიზიტების მიზანს წარმოადგენდა ფასების სტატისტიკის სფეროში ახალი ინდიკატორის - საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსის (Residential Property Price Index – RPPI) დანერგვა და უკვე არსებული მწარმოებელთა ფასების ინდექსის დაფარვის გაუმჯობესება, მომსახურების ნაწილის მიმართულებით. აღიშნული ვიზიტები ჩატარდა „აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ეროვნული ანგარიშებისა და ფასების სტატისტიკის გაუმჯობესების“ პროექტის ფარგლებში (Project to Improve National Accounts and Price Statistics in Eastern and Southeastern Europe), რომელშიც, საქართველოს გარდა მონაწილეობდა სომხეთი, უკრაინა და მოლდოვა. აღნიშნული პროექტი გაგრძელდება 2021 წლის მაისამდე.



## თავი VI. გეგმები 2019 წლისთვის

2019 წელს საქსტატი გეგმავს აქტიურ მუშაობას შემდეგ მიმართულებებზე:

- ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალი მეთოდოლოგიის (SNA-2008) დანერგვა;
- ეკონომიკური საქმიანობის სახეების საერთაშორისო კლასიფიკატორის NACE rev.2 ვერსიის სრულად ასახვა ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში;

• ეროვნული ანგარიშების შედგენისთვის ახალი პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება;

• შრომის სტატისტიკოსთა მე-19 და მე-20 კონფერენციებზე მიღებული რეზოლუციების შესაბამისად, დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკის ახალი მეთოდოლოგიის დანერგვასთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება (გამოკვლევის ახალი კითხვარის შემუშავება და ა. შ.), ასევე თვითდასაქმებულთა გადაკვალიფიცირებასთან დაკავშირებით საპილოტე გამოკვლევის მომზადება. გარდა ამისა, 2019 წელს სამუშაო ძალის არსებულ კითხვარს დაემატება მოდული, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება საკუთარი მოხმარებისთვის მომუშავე თვითდასაქმებულთა წილის განსაზღვრა;

• რეგიონულ დონეზე შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ მონაცემებისა და ცხოვრების დონის მაჩვენებელთა ხარისხის გაუმჯობესება. ამ თვალსაზრისით, 2019 წლიდან შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის შერჩევის ზომის გაიზარდა 3504-დან 4320 შინამეურნეობამდე;

• რეგიონულ დონეზე დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებელთა ხარისხის გაუმჯობესება. ამ მიზნით, 2019 წლიდან სამუშაო ძალის გამოკვლევის შერჩევის მოცულობა გაიზარდა 5952-დან 6336 შინამეურნეობამდე.

• რეგიონულ დონეზე სტატისტიკის გაუმჯობესების მიზნით, ეტაპობრივად დაგეგმილია ასევე სხვადასხვა სტატისტიკურ გამოკვლევაში შერჩევის მოცულობის გაზრდა;

• მედიანური ხელფასის გაანგარიშების მიზნით ადმინისტრაციული წყაროების შეფასება, დამუშავება და/ან ახალი სტატისტიკური გამოკვლევების ორგანიზება;

• საქონლით საგარეო ვაჭრობის მონაცემების დამუშავება ფართო ეკონომიკური კატეგორიების კლასიფიკატორის (BEC Rev.4) 3 ნიშნა დონეზე;

- სასოფლო მეურნეობათა დასკვნით გამოკვლევაში მონაცემთა შეგროვების ახალი მეთოდის (CAPI) დანერგვა;
- სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევის ჩატარება AGRIS პროგრამის (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული „სოფლის მეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევების“ პროგრამა) ფარგლებში მომზადებული განახლებული კვარტალური გამოკვლევის კითხვარებით;
- ახალი მაჩვენებლების გაანგარიშება გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) მიერ შემუშავებული გარემოსდაცვითი ინდიკატორების წარმოების მიმართულებით;
- გარემოსდაცვითი ეკონომიკური ანგარიშების პირველადი შედეგების მომზადება და ამ მიმართულებით შესაძლებლობების გაძლიერება;
- ქვეყანაში არსებული ნარჩენების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და ნარჩენებთან დაკავშირებული ინდიკატორების წარმოების შესაძლებლობების განსაზღვრა;
- 2019 წლის მაისში გაეროს მოსახლეობის განყოფილების (UN Population Division, DESA) მხარდაჭერით საქსტატის თანამშრომლებს ჩაუტარდება ტრენინგი მოსახლეობის პროგნოზების დანერგვის შესაძლებლობასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის მიზნით. განხორციელდება მოსახლეობის პროგნოზირების მეთოდისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- „მსოფლიო მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერების 2020 წლის რაუნდის“ ფარგლებში მომზადდება მომდევნო აღწერის პროგრამის პროექტი და განსახილველად წარედგინება საქართველოს მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო სამთავრობო კომისიას;
- გაეროს სტატისტიკის დეპარტამენტის მხარდაჭერით დაიწყება მონაცემთა ალტერნატიული წყაროების (Big Data) დანერგვის შესაძლებლობების შეფასება მოსახლეობის მიგრაციისა და ტურიზმის სტატისტიკის მიმართულებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქსტატის აქტიური მონაწილეობით დაგეგმილია გაეროსა და სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტთა სამუშაო შეხვედრების ჩატარება როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ;

- გაგრძელება საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსის დანერგვასთან დაკავშირებული სამუშაოები, რაც მოიცავს ფასების პერიოდულ შეგროვებას და ინდექსის საცდელ გაანგარიშებას;

- ეროვნულ ანგარიშებსა და ფასების სტატისტიკაში დაგეგმილია საქმიანობის სახეობათა მიხედვით პროდუქციის სტატისტიკური კლასიფიკატორის განახლებული ვერსიის (CPA 2008) დანერგვა.

- დაგეგმილია გარკვეული ცვლილებების შეტანა სხვადასხვა სახის გამოკვლევის კითხვარებში, საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისა და ახალი ინდიკატორების წარმოების თვალსაზრისით;

- მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევის (MICS) შედეგების გამოქვეყნება;

- გაეროს მიერ შემუშავებული გენდერული სტატისტიკის ინდიკატორების მინიმალური სიით გათვალისწინებული მაჩვენებლების სრულყოფა და გავრცელება;

- ბიზნეს რეგისტრის ხარისხის გაუმჯობესება და ბიზნეს დემოგრაფიის მაჩვენებლების სრულყოფა;

- ახალი სტატისტიკური პროდუქტების შექმნა და ახალი სერვისების ამოქმედება (ფასების კალეიდოსკოპი და სხვა);

- სამუშაო შეხვედრებისა და საჯარო ლექციების ორგანიზება მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით;

- სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელთა (მათ შორის გენდერული სტატისტიკის მომხმარებელთა) ტრენინგები, სხვადასხვა სახის სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიასთან და საქსტატის მიერ წარმოებული მონაცემების გამოყენებასთან დაკავშირებით.

- გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMAN) ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 100 წლის საიუბილეო ღონისძიებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკის სამსახურების ხელმძღვანელები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

2019 წლის განმავლობაში დაგეგმილია ახალი სტატისტიკური გამოკვლევების დანერგვა და ჩატარება, რომელთაგანაც გარკვეული ნაწილი ტარდება პირველად, კერძოდ:

- დროის გამოყენების გამოკვლევა (მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია 2019 წლის განმავლობაში, ხოლო სავსე სამუშაოები ჩატარდება 2020 წელს)

- დაუკვირვებადი ეკონომიკის გამოკვლევა სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში;

- შუალედური მოხმარების გამოკვლევა;

- გამყვანი ტურიზმის სტატისტიკური გამოკვლევა;

- მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის საპილოტე გამოკვლევა;

- სამეცნიერო დაწესებულებებში მეცნიერული კვლევებისა და დამუშავებების გამოკვლევა;

- ბაზრებსა და ბაზრობებზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების სტატისტიკური გამოკვლევა;

- ვალუტის გადამცვლელი პუნქტების სტატისტიკური გამოკვლევა;

- მწარმოებელთა ფასების საპილოტე გამოკვლევა ტვირთის დასაწყობებისა და შენახვის მომსახურებაზე;

- მწარმოებელთა ფასების საპილოტე გამოკვლევა ტელესაკომუნიკაციო მომსახურებაზე;

- მომხმარებელთა კმაყოფილების დონის გამოკვლევა, რომლის საფუძველზეც განხორციელდება სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებელთა მოთხოვნილებების და საჭიროებების შესწავლა-გაანალიზება.